ესპანური ენისა და კულტურისადმი მიძღვნილი საღამო

19 დეკემბერს, შაბათს, 16:00 საათზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის B 202 აუდიტორიაში, ილიაუნის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ესპანისტიკის მიმართულების სტუდენტთა ორგანიზებითა და მონაწილეობით, გაიმართება ესპანური ენისა და კულტურისადმი მიძღვნილი საღამო.

ღონისძიება მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
· პრეზენტაცია - "Carmen De La Literatura a la Imagen" (კარმენი ლიტერატურული გმირი - სასცენო პერსონაჟი);
· სტუდენტების მიერ გადაღებული ფილმის პრეზენტაცია;
· იბერ-ამერიკული კლუბის პრეზენტაცია;
· ინტელექტუალური ვიქტორინა;
· მუსიკა, ცეკვა;
·ესპანური ნაციონალური სამზარეულოს დეგუსტაცია.

დრო: 19 დეკემბერი, 16:00 საათი
ადგილმდებარეობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის B 202 აუდიტორია (ჭავჭავაძის გამზ. #32)

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge